სს. კოდი. 010250020.35.121.016362
გამოქვეყნების თარიღი: 04.02.2019

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N 7

2019 წლის 31 იანვარი

ქ.ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N127

დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1 „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N127 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.12.2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.121.016355) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „დამტკიცდეს „მეორე მსოფლიო ომის, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისა და 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთა დახმარების პროგრამა (დანართი N10).“
2. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 16^1 მუხლი:
   „მუხლი 16^1
   ამ დადგენილების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“
3. დადგენილებით დამტკიცებულ ყველა დანართში შეიცვალოს პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
   ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.“
4. დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული დანართის - „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა“ - მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:
   ა) სავალდებულოა ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი ახალშობილის დაბადებამდე არაუგვიანეს 180-ე დღიდან განცხადების შემოტანამდე უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტიურად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში.“
5. დადგენილების მე-5 მუხლით დამტკიცებული დანართის - „სამედიცინო დახმარების პროგრამა“ - მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „7. დახმარების მოცულობის განსაზღვრა:

   7.1 დახმარების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის კატეგორიის მიხედვით.
   7.2 პირველ კატეგორიაში შედიან:

ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 70000 -ის ჩათვლით;

ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 100000-ის ჩათვლით;

გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირები.

7.3 მეორე კატეგორიაში შედიან:

ა) ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პირები;

ბ) გულის დაავადებათა მქონე პაციენტები;

გ) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებული პირები.

7.4 მესამე კატეგორიაში შედის დახმარების მიმღები ყველა სხვა მოქალაქე.

7.5 პირველ კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, თუ გადასახდელი თანხის ოდენობა არ აღემატება 500 (ხუთას) ლარს. თუ გადასახდელი თანხის ოდენობა აღემატება 500 (ხუთას) ლარს, მოქალაქეს აუნაზღაურდება 500 (ხუთას) ლარს დამატებული 500 (ხუთას) ლარს ზევით არსებული თანხის 50 %, მაგრამ არაუმეტეს 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. ამ კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებზე არ ვრცელდება მე-9 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მათთვის ორსულობის, საკეისრო კვეთის ან ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს დახმარების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 200 (ორასი) ლარით;

7.6 მეორე კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებს, თუ ისინი გადიან მკურნალობის კურსს 7.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, თუ გადასახდელი თანხის ოდენობა არ აღემატება 500 (ხუთას) ლარს. თუ გადასახდელი თანხის ოდენობა აღემატება 500 (ხუთას) ლარს, მოქალაქეს აუნაზღაურდება 500 (ხუთას) ლარს დამატებული 500 (ხუთას) ლარს ზევით არსებული თანხის 50 %, მაგრამ არაუმეტეს 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. თუ მოქალაქეს ჭირდება სამედიცინო დაწესებულების მომსახურება 7.3 ქვეპუნქტში არშემავალი დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, მათ დამატებით შეუძლიათ ერთჯერადად ისარგებლონ დაფინანსებით, მესამე კატეგორიის მოქალაქეებისთვის დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქის წლიური დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 750 (შვიდასორმოცდაათ) ლარს.

7.7 მესამე კატეგორიის მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ ითვალისწინებს 200 (ორას) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას."

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
VANI MUNICIPALITY COUNCIL
ადგილობრივი თვითმმართველობა
SELF-GOVERNMENT
22653256